

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი № 6

ქ.თელავი

19. 07. 2022 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე ლევან ბერძენაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თინათინ ხანჯალიაშვილი, ალექსანდრე
შათირიშვილი, მიხეილ დალუნდარიძე, ანა ოთარაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, გივი
ლაფაური, იმედა კველიშვილი, გიგი გიგიტელაშვილი.

დღის წესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-
დემოკრატიული საქართველო“ განხორციელებული ცვლილების გამო,
საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის
ახალი კვოტების განსაზღვრის შესახებ.

მომხს:ლ. ბერძენაშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-
დემოკრატიული საქართველო“ განხორციელებული ცვლილების გამო,
საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში პროპორციული
წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრის შესახებ.

აზრი გამოთქვას: ლევან ბერძენაშვილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან თელავის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ლევან კოჭლოშვილმა, რომელიც
იყო საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული
საქართველო“-ს წევრი დატოვა აღნიშნული ფრაქცია, ამიტომ საქართველოს
ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28-ე
მუხლის 2³ პუნქტის შესაბამისად, ამ ფაქტმა გავლენა მოახდინა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციულ

წარმომადგენლობაზე, რაზედაც საჭიროა განისაზღვროს ახალი პროპორციული წარმომადგენლობა და უახლოეს სხდომაზე ეცნობოს იგი საკრებულოს ბიუროს. ლევან ბერძენაშვილმა აგრეთვე განმარტა, რომ ვინაიდან სულ საკრებულოში არის 39 დეპუტატი, ამიტომ კომისიებში წარმომადგენლობა სულ განისაზღვრება 78 კვოტით, ანუ თითოეულ დეპუტატზე მაქსიმუმ 2 კვოტა. აგრეთვე განმარტა, რომ ვინაიდან საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ - ში დარჩა 21 წევრი, ამიტომ საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში ფრაქციის კვოტირება უნდა განისაზღვროს 42 კვოტით. რაც შეეხება საკრებულოს მეორე ფრაქციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იგი შედგება 16 წევრისგან, სადაც ცვლილება არ განხორციელებულა, ამიტომ მათი კვოტა კომისიებში დარჩება უცვლელად და უნდა განისაზღვროს იგი 32 კვოტით. საკრებულოს უფრაქციო წევრის პარტია „საქართველოსთვის“ წარმომადგენლის გელა ესიტაშვილისათვის კვოტირება უნდა დარჩეს უცვლელად და განისაზღვროს 2-კვოტით, ხოლო უფრაქციო დეპუტატისათვის ლევან კოჭლოშვილისათვის საკრებულოს კომისიებში წარმომადგენლობა უნდა განისაზღვროს აგრეთვე 2 კვოტით. საკითხს დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრები, შენიშვნები ან მოსაზრებები არ გამოთქმულა.

გადაწყვიტეს: მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს ბიუროს სხდომაზე წარდგენილი იქნეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტები შემდეგნაირად:

1. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ – 42 კვოტა.
2. საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“- 32 კვოტა.
3. საკრებულოს უფრაქციო წევრის პარტია „საქართველოსთვის“ წარმომადგენლის გელა ესიტაშვილის კვოტა მუდმივმოქმედ კომისიებში დარჩეს უცვლელად და განისაზღვროს 2-ით.
4. საკრებულოს უფრაქციო წევრის, ლევან კოჭლოშვილის წარმომადგენლობა მუდმივმოქმედ კომისიებში განისაზღვროს 2 კვოტით.

კომისიის თავმჯდომარე



ლევან ბერძენაშვილი